საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-2/632
14/11/2019

632-გ-19-1-4-201911141702

შპს „ძველი ქალაქის“ კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №402/6 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში ,,კომისია”) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №7/7998-17, 16.10.17 და №შ-19-6/3855, 01.10.19) მიმართა შპს „ძველმა ქალაქმა“ მისი კუთვნილი კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიის მოდიფიცირების მოთხოვნით. კერძოდ კომპანია ითხოვს გადამცემის სიმძლავრის გაზრდას 100 ვტ-დან 500 ვტ-მდე და გადამცემის გადატანას ქ. ქუთაისში შპს „დატაკომის“ ანძაზე. როგორც წერილშია აღნიშნული მოდიფიცირების მოთხოვნის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის მდგრადი სამაუწყებლო სიგნალებით დასაფარად, კომპანიის შეფასებით, მიზანშეწონილი იქნება წერილში მითითებულ ანძაზე გადამცემის დამონტაჟება და გადამცემის სიმძლავრის გაზრდა 500 ვატამდე. ამასთანავე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შპს „დატაკომის“ ანძაზე ანტენის განთავსების გადასახადი შედარებით უფრო მისაღებია ჩვენთვის, ვიდრე სხვა ანძებზე.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ძველი ქალაქი“ კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიას ფლობს 2024 წლის 3 აგვისტომდე კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №402/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 107,9 მგჰც სიხშირეზე 100 ვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. ქუთაისი;

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის სიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათის (№19-10/1843, 24/09/2019) თანახმად, დეპარტამენტში განხილულ იქნა შპს „ძველი ქალაქის“ ორივე მოთხოვნა და განხორციელდა 107,9 მჰც რადიო სამაუწყებლო გადამცემით გასხივებული სიგნალის ვირტუალური გავრცელების მოდელირება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (ICS Telecom)

გამოყენებით იმგვარად, რომ შენარჩუნებულიყო ელექტრომაგნიტური თავსებადობა სხვა რადიოსამაუწყებლო გადამცემების მიმართ. შედეგად კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიის მოდიფიცირება შესაძლებელია შემდეგი ტექნიკური მახასიათებლების დაცვით:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ქუთაისი	107.9	FM	V	წრიული	500	42°16'48.7"N 42°44'18.3"E	40	6

შენიშვნა: გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

კომისია აღნიშნავს, რომ კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიაში დამატებითი ტექნიკური პარამეტრების მითითება აუცილებელია, ვინაიდან მოქმედი FM გადამცემების ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ხდება თავისუფალი სიხშირული რესურსის დაგეგმარება 87.5-108 მჰც დიაპაზონში, შესაბამისად აღნიშნული გადამცემების განთავსების ადგილის, ანტენის დაკიდების სიმაღლის და სხვა ტექნიკური მახასიათებლების რეალურ პირობებში გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ლიცენზიის პირობებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ №B71 ლიცენზიის სალიცენზიო პირობებში მითითებული სამაუწყებლო ზონების განმარტება აღარ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებას, რომლის თანახმად 87.5მჰც-დან 108.0მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ზონა არის საკონკურსო პირობით განსაზღვრული, ერთი ან რამდენიმე გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის ან/და სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით. შესაბამისად მიზანშეწონილია მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონის კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში მითითებული განმარტების შესაბამისად განსაზღვრა.

კომისია აღნიშნავს, რომ ლიცენზიის, ამავე ლიცენზიის მფლობელის განცხადების საფუძველზე მოდიფიცირების მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია ხელმძღვანელობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც, აკრძალულია საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის იმგვარად მოდიფიცირება, რომელიც გამოიწვევს ლიცენზიის სახეობის შეცვლას ან ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის სიდიდის ცვლილებას.

კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათის (№19-10/1931, 03/10/2019) თანახმად თეორიული გათვლების მიხედვით, წარმოდგენილი ტექნიკური მახასიათებლების დაცვით მაუწყებლობის შემთხვევაში, ლიცენზიის სამოქმედო ზონა არ შეიცვლება.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ იმსჯელა ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დასკვნაში (№19-10/1907, 01/10/2019) წარმოდგენილ სალიცენზიო გადასახადის გაანგარიშების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისში 100 ვატი სიმძლავრის გადამცემის არსებობის შემთხვევაში სალიცენზიო გადასახადის ოდენობა 10 წელზე შეადგენდა 5,670.00 ლარს, ხოლო გადამცემის სიმძლავრის 500 ვატამდე გაზრდის შემთხვევაში - სალიცენზიო გადასახადი 10 წელზე იქნება 8,100.00 ლარი, სხვაობა შეადგენს 2,430.00 ლარს. შესაბამისად კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიის მოდიფიცირების შემთხვევაში, შპს „ძველი ქალაქის“ მიერ გადასახდელი სალიცენზიო გადასახადის ოდენობა შეადგენს 2,430.00 ლარს.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2019 წლის 3 ოქტომბრის №გ-19-23/573 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ძველი ქალაქის“ კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №402/6 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 7 ნოემბრის 15:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ვადად ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 სამუშაო დღე.

კომისია აღნიშნავს, რომ 2019 წლის 7 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდა შპს „ძველი ქალაქის“ დირექტორი ირაკლი მაჩიტიძე, რომელმაც დააყენა საკითხი კომპანიისთვის გარკვეული შეღავათის გაკეთების და გადასახდელი თანხის შემცირების თაობაზე. ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადდა შესვენება და საკითხის ზეპირი მოსმენა ჩაინიშნა 2019 წლის 14 ნოემბერს.

კომისიის 2019 წლის 14 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდა შპს „ძველი ქალაქის“ დირექტორი ირაკლი მაჩიტიძე. სხდომაზე აღინიშნა რომ სალიცენზიო გადასახდელის გაანგარიშების მეთოდოლოგია და სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა არ შეცვლილა. იგი წარმოადგენს 2,430.00 ლარს და დათვლილია შემდეგი მეთოდოლოგიით: ქ. ქუთაისში 100 ვატი სიმძლავრის გადამცემის არსებობის შემთხვევაში სალიცენზიო გადასახადის ოდენობა 10 წელზე შეადგენდა 5,670.00 ლარს, ხოლო გადამცემის სიმძლავრის 500 ვატამდე გაზრდის შემთხვევაში - სალიცენზიო გადასახადი 10 წელზე იქნება 8,100.00 ლარი, სხვაობა შეადგენს 2,430.00 ლარს.

შპს „ძველი ქალაქის“ დირექტორმა ირაკლი მაჩიტიძემ სხდომაზე დაადასტურა სალიცენზიო გადასახდელის - 2,430.00 ლარის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში გადახდაზე მზადყოფნა.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;
ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. კერძოდ, სახეზეა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა: კომისიის და ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; ამავე დროს, შპს „ძველი ქალაქის“ კერძო მაუწყებლობის №B71 ლიცენზიის მოდიფიცირების შემთხვევაში არ დაირღვევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე და 115-ე მუხლების შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მოდიფიცირდეს შპს "ძველი ქალაქის" კერძო რადიომაუწყებლობის №B71 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №402/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა:

ე.ა) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ქუთაისი	107.9	FM	V	წრიული	500	42°16'48.7"N 42°44'18.3"E	40	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ე.ბ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით“.

2. უზრუნველყოს შპს ”ძველმა ქალაქმა” აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში 2,430.00 (ორი ათას ოთხასოცდაათი და 00) ლარის გადახდა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

- ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსულობები - N200122900;

- სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი -TRESGE22;

- საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი -300183062;

3. შპს ”ძველი ქალაქი” ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში აღნიშნული თანხის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები კომისიას წარმოუდგინოს გადახდიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

4. შპს ”ძველი ქალაქის” მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს;

5. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (ნ. ლორთქიფანიძე) და სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა):

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა;
ბ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა;
გ) ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გაგზავნის უზრუნველყოფა;

6. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო.ვოტ):

ა) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;
ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს "ძველი ქალაქისთვის" გაგზავნა;
გ) აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მითითებული თანხის და შესაბამის ვადაში საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის კონტროლი;

7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებულის ასლის შპს "ძველი ქალაქისთვის" ჩაბარების დღიდან;

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.N6) შპს "ძველი ქალაქისთვის" ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

9.კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა);

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფს (ნ. დევდარიანი);

11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა პირველი, მე-2, მე-3, მე-6, მე-9, მე-10 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

კახი ბექაური

თავმჯდომარე